

ავტობიოგრაფია

მე, თამარ ნოდარის ასული ლაკერბაია დავიბადე 1981 წლის 24 აპრილს, ქ. სოხუმში. 1997 წელს დავამთავრე ვაშლიჯვარის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტზე. 2002 წელს წარჩინებით დავამთავრე მითითებული უნივერსიტეტი, რის შედეგადაც მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2001-2004 წლებში ვმუშაობდი აფხაზეთის ა/რ შსს ქ. სოხუმის სამმართველოში ინსპექტორის პოზიციაზე. 2005-2006 წლებში - აფხაზეთის ა/რ უმაღლეს სასამართლოში, სადაც მეკავა სხვადასხვა პოზიცია. 2006-2009 წლებში ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე. 2009-2010 წლებში ვსწავლობდი საქართველო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. 2011-2015 წლებში ვეწეოდი საადვოკატო საქმიანობას. ამავე პერიოდში გახლდით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. პარალელურად დასაქმებული ვიყავი იურიდიულ კომპანიაში „ერისთავი და პარტნიორები“, სადაც მეკავა ჯერ უფროსი იურისტის, შემდეგ კი ასოცირებული პარტნიორის პოზიცია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ სამი წლის ვადით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ უვადოდ.

2012 წელს წარმატებით გავიარე საერთაშორისო სამართლებრივი ინგლისური ენის სასწავლო კურსი და მიღებული მაქვს შესაბამისი სერთიფიკატი - (Cambridge English: Legal ILEC); 2007 წელს ჩაბარებული მაქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით; 2006 წელს - ადვოკატთა ტესტირება სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით; 2005 წელს - გავლილი მაქვს მოსამართლის თანაშემწის კომპლექსური სასწავლო კურსი.

2012 წელს ჩავაბარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში კერძო სამართლის მიმართულებით. 2016 წლის 25 ივლისს აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად საჯაროდ დავიცავი დისერტაცია თემაზე - „ხელშეკრულების უარყოფის უფლება - ქართული და ევროპული სახელმწიფოებო სამართლის შედარებით ანალიზი“. დისერტაციის საჯაროდ დაცვის შედეგად მივიღე შეფასება 91 (ფრიადი) (suma cum laude). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მომენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2015 წელს ჩავაბარე ჩიკაგო-კენტის ამერიკული სამართლის სკოლაში ბიზნეს სამართლის ერთ წლიან პროგრამაზე, რომელიც წარმატებით დავასრულე 2016 წელს და მივიღე შესაბამისი სერთიფიკატი.

2012 წლიდან ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას სახვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2012 წლიდან დღემდე, ვარ მოწვეული ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; 2015 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. 2016 წლიდან ვარ ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

გახლავართ მაქს პლანკის სახელობის საერთაშორისო და შედარებით კერძო სამართლის ინსტიტუტის სტიპენდიანტი.

გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები

- ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), IBSU, 2018
- Refinement of the Right to Reject a Contract Under Civil Code of Georgia - South Caucasus Law Journal, Civil Codes in Transition, giz, 07/2016;
- Where is the boundary between freedom of expression and a person's honor, dignity and business reputation - some examples from the Georgian court practice, Journal of Social Sciences, IBSU, 2016;
- დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი – ხელშეკრულების უარყოფის უფლების მაგალითზე; სამართლის ჟურნალი გამომცემლობა "სამართალი, #1 2016;
- ინფორმირებული მომხმარებლის სტანდარტი ევროპის სახელმწიფოებო სამართალში; სამართლის ჟურნალი, გამომცემლობა "სამართალი", N1, თბ., 2015;
- სავარჯიშოები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თანაავტორი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2014;
- ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება ევროპის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში, სამართლის ჟურნალი, გამომცემლობა "სამართალი", N1, თბ., 2014;

დამატებითი პროფესიული აქტივობა

- ტრენერი - თანასწორუფლებიანობის ეფექტიანი დაცვა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2019წ.
- 11/2018 – სამედიცინო დავების განხილვის თავისებურებანი - ბიზნეს სამართლის ყოველწლიური ფორუმი; საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის, იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 10/2017 - სასწავლო სემინარი - მომხმარებელთა უფლებები და მათი დაცვის სტანდარტები - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრი. მოხსენება თემაზე - ინფორმირების ვალდებულება წინასახელმწიფოებო ურთიერთობებში და მისი სამართლებრივი შედეგები;
- 2017 - კითხვა და პასუხების სესია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის - მომხმარებელთა უფლებების ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, B2B და B2C ნასყიდობის ხელშეკრულებები, USAID, G4G;
- 2017 - იმპირებული პროცესი სამოქალაქო სამართალში - ტრენერი; იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრი, ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის.
- 15.06.2017. - ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ქართული კერძო სამართლის გამოწვევები; თემა - მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი;
- 08.12.2016 - „მომხმარებელთა სამართალი და ევროდირექტივები“, თემა - ინფორმირებული მომხმარებლის სტანდარტი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისის (ELSA Tbilisi).

პროფესიული განვითარების სემინარები და ტრენინგები:

- ბავშვის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მათ შორის არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდოლოგია და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები) UNICEF 2019;
- ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები-ზოგადი კურსი PROLOG, 2018;
- ნასყიდობის საერთაშორისო ხელშეკრულებები CLDP, 2018;
- პრაქტიკული ფსიქოლოგია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2018;
- საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი, ILO, 2018
- დისკრიმინაციის აკრძალვა-შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები OHCHR, 2018
- ვალდებულებითი სამართლის პრობლემატური საკითხები - 2018
- სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები - 2018
- სასამართლო მორიგება - 2018
- იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრი - მომხმარებელთა უფლებები და მათი დაცვის სტანდარტი - 2018;
- 2017 - რელიგიის და სუბსუმციის ტექნიკები, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2017 - დისკრიმინაციის აკრძალვა, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2016 - სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა; 2016 - ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2016 - კონკურენციის სამართლის ადვოკატირება - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით; თბილისი, საქართველო;
- 2016 - გამოხატვის თავისუფლება, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2016 - უსაფუძვლო გამდიდრება, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2016 - სამართლიანი სასამართლოს უფლება, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2016 - ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივის ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2016 - გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები; CoE, თბილისი, საქართველო;
- 2015 - ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლის დაცვისა და დახმარების საკითხები - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასაწავლო ცენტრი, თბილისი, საქართველო;
- 2014 - შრომითი უფლებები, საერთაშორისო სტანდარტები და შიდა კანონმდებლობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბილისი, საქართველო;
- 2014 - კონტროლის გარეშე - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) სარაევო, ბოსნია და ჰერცეგოვინა;
- 2013 - კორპორაციული მართვა და დირექტორთა საბჭო;
- 13-14 07. 2013 საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), სკოპია, მაკედონია, სწავლების მეთოდოლოგია, კაჭრეთი, საქართველო;
- 27.05.2013 - ადვოკატის პროფესიული ეთიკა, სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია", თბილისი, საქართველო
- 1-2.12.2012 - კონდიციური და ვინდიკაციური სარჩელები - გამოყენების სფერო, მეთოდები და საშუალებები; შესრულების მოთხოვნის შესაგებელი - შესრულების შეუძლებლობა და შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება; ლიზინგის რეგულირება სამოქალაქო სამართალში, ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრი, თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
- 29.10.-01.11.2012 - კორპორაციული მართვა და დირექტორთა საბჭო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), სკოპია, მაკედონია;
- 23.03.2012 - იურისტის როლი კორპორაციულ მართვაში, საქართველოს დირექტორთა ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო;
- 17-18.12. 2011 - ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების შეწყვეტის პრობლემური საკითხები; მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა; Due Diligence - ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში, ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრი, თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

- 19–21.10.2007 - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტები, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, თბილისი, საქართველო

კარგად ვფლობ ინგლისურ და რუსულ ენებს; კომპიუტერულ და საოფისე პროგრამებს.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.